საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6650
04/11/2022

6650-21-2-202211041615

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N5384 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. მელეს მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ცხენისწყლის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. ცხენისწყალში გავრცელებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე (განსაკუთრებით თევზებზე), პროექტის განხორციელებით მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;
- წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ მთლიანი 16 869 $მ^2$ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 11 852 $მ^2$ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს (ლენტეხის სატყეო უბნის ლაშხეთის სატყეოს, კვარტალი N114, ლიტერი N33). სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ჰიდროლოგიური ანგარიშის N2 და N3 ცხრილებში მოცემული წყლის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობები არ ემთხვევა ერთმანეთს;

- სკრინინგის განცხადების გრაფიკულ ნაწილში მოცემული კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმის მნიშვნელობები არ ემთხვევა ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულ კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მონაცემებს;
- დასაბუთებას საჭიროებს საპროექტო დამბის განსხვავებული დაშორება წყლის მაქსიმალური დონიდან (სხვადასხვა კვეთებში დაშორება იცვლება 1,48 მეტრიდან 2,33 მეტრამდე);
- ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ყველა ფორმულა უნდა განმარტებული იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო